კვირა 23 მაისი ფასი 10 კაპ.

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

არ შეგცივდეს „ბარაშკაჯან!"

ყოვნიაფია ს. ბიხოვისა.

რვა მაისის გასართობმა
ხედავთ, დღემდე გამოსტანა:
ჩვენს სცენაზე არ ნახულა
სანახავი იმისთანა,
მაგრამ, როგორც გეხსომებათ
ჩვენ „ბარაშკა" იქ ვერ ვნახეთ
და ძვირფასი ალმოჩენა
საღღეისოთ შევინახეთ.
დღეს კი, ათკეც ყურადღებას
მოვითხოვ მე თქვენი მხრიდან:
დასკვნა თქვენი საქმე იყოს
ამ ბარაშკა ოფიციალურან

ლექცია გრიგ. როგაჭიძისა.

რომელმან შეჰქმნა სამყარო
ძალითა მით ძლიერითა,
თქვენ მოგაკლინა ამ ქვეყნად
განგებით, ღვთისნიერითა:
გულგაშლილობით ქართულით,
სიტურფით მშვენიერითა,
ჩვენი ძვირფასი მამულით,
ენხვით, ბჭე განიერითა.
სილაღე თქვენის გულისა
ვითა გამოსთქვას ენამან,
არ ვღირსვარ თქვენად მოუბრად
სულისა ჩემის ლხენამან,
მაგრამ წამიღო ხალისმა,
უზომომ, ამოდენამან,
ყაწვნი დათრთვილა თვალთაგან
მდულარე ცრემლთა დენამან.
აწცა მსურს შოთას სახელზე
კრეჭა ზურგისა თქვენისა,
დახატვა სულის დიადის,
ელლინთა მონაფენისა,
,,ვეფხისა ტყავის'' გარჩევა
სამშობლოს დამამშვენისა,
არ მამოქმედებს სურვილი
მარტოდენ გამორჩენისა.
სჩანს გიჟია, გონით ხელი,
სამკალს შეხვდეს, არა მკიდეს,
სახელსა და დიდებასა
არ მოიხვეჭ შეიქმნიდეს,
არ მიადგეს თავ-აღერით,
ხან იმას და ამა კიდეს
მამულია ჩემი ხატი
ბარაშკაჯან, არ შეგცივდეს!
ზაფხული ზე წამოგვადგა
ჰხამს სეზონი სეზონს სცვლიდეს,
გაზაფხული ზამთრის ქარ-ბუქს
მუქარასა შეუთვლიდეს,
ჰხამს მეცხვარე გამოცდილი
სამოგზავროთ კომბალს თლიდეს,
ფარას კრეჭდეს საზაფხულოდ,
,,ბარაშკაჯან! არ შეგცივდეს!''
ოდეს შეხვდა ტურფა ნესტანს
საოცნებო დარეჯანი,
ტარიელი ტყვედ გაიკრა
სხვა ვერ ნახა გასაქანი,
ერთის დაკვრით მამაც ლომსა
წარუკვეთა რხმლითა ტანი,
ბარაშკაჯან! არ შეშვენის
ვირსა რქები, ხბოს კურტანი!!
ვიცი ბოლოს არ დამიგმობ
ამა ჩემსა განზრახულსა:
ცოტა მატყლი შეგაცალო
ამ ნოტიო გაზაფხულსა;
თანაც სიტყვას მოგახსენებ
პლატონისგან სწავლა-თქმულსა
„სიცრუე და ორპირობა,
ბარაშკაჯან, ავნებს სულსა!".
,,ესე ღმერთსა გაუგია
თავსა თქვენსა გარდასავლად'',
გერმანიით მოვევლინე
თქვენ, უბადრუკთ, განსასწავლად,
მატყლისათვის ნუ გაწყრებით
მოგაკრიჭო თუნდაც მრავლად,
,,ბარაშკაჯან'', განა ცმარა
ლექციისა იგი დავლად?
მითხარ, ძვირფასო რას ხვნეში,
თვალნი რათ დაგიბნდებიან,
ვინ არ ყოფილა მიჯნური
სახმილი ვის არ სდებიან,
ვინ განსწავლულა უტანჯოთ
სულნი რად ამოგხდებიან,
,,ვარდი, ბარაშკო, უეკლოდ
არავის მოუკრებიან!''
თქვენა მკადრებთ: ,,ეგზომ ბრძენი
რამან შემქნა ტანად, პირად,
თუ რისთვის ვარ რიხიანი,
ლექცია რათ მიღირს ძვირად?''
მოგახსენებთ: ,,ბარაშკაჯან!,
სჯობ იქნების რაცა ძვირად,
თუ ლექცია გაიაფდეს
არღა ღირდეს არცა ჩირად''.
მაფიქრებს თქვენი სიმცირე
გულ დაკოდილსა მწარ ენით,
რა იქნენ სხვანი ქართველნი,
რა ცოტა შეიყარენით...
თქვენ მოისმინეთ ნათქვამი
ილხინეთ, გაიხარენით,
მოვკვდები, პირისუფლურად
კვლავ მატყლი მომაყარენით.
მონამან ხელნი აღმართა
მუნ თქვენთა შესაპყრობელად,
კულტურის ჩვენის ქვეყნისა
წასახდენ-დასამხობელათ,
მე გლახ იგინი გავხადო
მტერთაცა საწყალობელად
ვკრა ერთმანეთსა, დავხოცნო
ხელ-მარჯვენ აღუპყრობელათ.
თქვენ ნუ კრთით, მე არ შევარჩენ
მას ჩვენსა დაცილებასა,
თქვენ დაგამცირონ არ მივცემ
არავის ამის ნებასა...
თქვენ მოიშორეთ ეგ მატყლი
ზაფხულში მოგცემსთ ვნებასა,

გაკრეჭილები უფრორე
განიცდით მოსვენებასა.
  აი მეამა! ღიმილმა
განაკრთო თქვენი სახენი,
სჩანს ასრულდება მერმისთვის
დღეს ჩემი განაზრახენი,
მეცნიერებას მოიმკით
ამ ტაძრად დანაზახენი...
დაინგრეს ჩვენთა ორგულთა
სათვალცბიერო მახენი.
  თქვენ კარგათ იცით რათ მოველ,
რა ჭირი მომითშენია,
დამფასებლობა თქვენგვარი
ჯერ არავისგან მსმენია,
თუმცაღა სხივი დიდების
ჩემის ჯერ არა გფენია...
ოჰ, ბარაშკაჯან, ეგ ქურქი
რად გინდა, რად არ გცხვენია?!
  მე გრიგოლი რობაქიძე
ვიქმ სიბრძნესა ამადარი,
,,ბარაშკების'' ღვთაება ვარ,
მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი,
მშვენიერთა სიტყვათაცა
მდის უშრეტი ნიაღვარი,
ჰა, მომეცით განკურნება,
ანუ მიწა მე სამარი."

—

,,გველსა ხვრელით გამოიყვანს,
ენა ტკბილათ მოუბარი",
მყის შეშფოთდა, შეკუნტრუშდა,
ბარაშკების მთელი ჯარი,
საქართველოს მზეს და მთვარეს,
ტანჯულ გულის გასახარი
,,ვაშა! ვაშა!'' მიაძახეს
მიაყოლეს ტაში ცხარი.
  მეც მეამა სანახავი
საამო და მეტათ ტკბილი ..
(,,ბარაშკები'' მეათეჯერ
მყავს ამ დარგში გამოცდილი!)
მზეს ქართლისას შეჰხაროდენ
ჩინებულათ გაკრეჭილი...
ვსთქვი, თუ ,,კვალად გაუზრდია
ქართვლის დედას ღირსი შვილი,
გულს დარდები განეშორა
აზრს ბინდი და სულს სახმილი.

ეშმაკი.

სამშუბლო განსაცდელშია!

(საიდუმლო მოხსენება ფოცხვერაშვილის კონცერტის გამო *)

„საყვარელო ძმაო რედაქციავ' გიგზავნი ამ პატარა მოხსენებას ფოცხვერაშვილის კონცერტის შესახებ და ვინძლო საიდუმლოთ შეინახო: მოხსენებაც და ჩემი ვინაობაც.

იმას ნუ მიაქცევ ყურადღებას, რომ წერაში არა ვარ ჩვენს პოეტებსავით გამოწაფული, წარმოიდგინე, ჯერ ერთი დრამაც არ დამიწერია!

ძლიერ მომეწონა, პირადათ, ფოცხვერაშვილის კონცერტიც, ვოდევილიც, მაგრამ ეს ახლა ხომ არ გაიმხილება და ჩვენ შორის დარჩეს. მუსიკის მართალია არაფერი მესმის, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ქართველი მუსიკოსი უთუოდ ფალიაშვილი უნდა იყოს. აქ კი? აქ გაიხედავ და ვიღაც ფოცხვერაშვილი! მამაცხონებულმა მუსიკა თუ კი იცოდა გვარი ვეღარ მოიგონა მუსიკალური?! ჩვენი ქვეყნის ბურჯებს ხომ იცი ასეთი გვარი არ მოსწონთ?!

ჰო, კონცერტი თუმცა მომეწონა, მაგრამ ტაქტიკური მოსაზრებით საჭიროა ის მაინც დავგმოთ. ხომ მოგეხსენებათ, ჩვენი ხალხი გადაგვარების ვზას ადგია: მოისპო მამაშვილური დამოკიდებულება კეთილ-შობილთა და გლეხთა შორის, მოისპო ქართული სიმამაცე, მოისპო ერთმანეთის ნდობა, როცა ერთ ღერ ულვაშში ათასს თუმანს მოგცემდენ, მოისპო ენა, დავკარგეთ მამული, ერთი სიტყვით გავიძარცვეთ, გავლატაკდით. შეგვრჩა მხოლოდ ერთად-ერთი ქართული მუსიკა, მამა-პაპური „მრავალჟამიერი"!

და აი ფოცხვერაშვილი, ფოცხვერმა დაჭამოს მაგის თავი, გამოსულა და ჩვენს ქართულ კილოებს ევროპიულ სამოსელში ახვევს, რაღაც დოღრუტუტუ მუსიკის ჰანგებს უთანხმებს. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ეს ქართული კი არა, ნამდვილი ევროპიული ხორო იდგა ჩვენს წინაშე, მწყობრათ და ჰარმონიულათ მომღერალი!

იქნება, ძმაო რედაქციავ, თქვენ ეს უცაბედათ მოსული საქმე გეგონოს. მე არ მოგიკვდე! ეს ყველაფერი განზრახ ჩაუდენია ამ მომღერალს და ჭეშმარიტ-მამულიშვილური სახე განზრახ შეულამაზებია.

მერმე რისთვის, რისთვის?

მიზანი საშინელია! მას განუზრახავს ჩვენი ჰანგების მხოლოდ კილო დაიცოს და სხვა ყველაფერი ევროპიულათ შესცვალოს. ამით იმას სურს ეს უკანასკნელი ქვაკუთხედიც გამოაცალოს ჩვენს ეროვნულ საუნჯეს. ალბათ ამიტომ იყო, რომ გალიორკის ბინადარნი, ეს გადაგვარების მოტრფია-

*) ამ მოხსენებას ვბეჭდავთ საიდუმლოთ. რედაქცია სთხოვს მკითხველებს, რომ მათაც საიდუმლოთ წაიკითხონ, დავიღუპეთ, თუ ეს აბბავი გახრიალდა! ეშმაკი.

ალბათ კომეტას ბრალია!



მუშა. ვშრომობ, ვშრომობ, შვილები კი შიმშილით მიწასაბან-



გიმნაზისტი. ასეთი ცხოვრება განა ღირს!



გიმნაზისტკა. (წერილს სტოვებს) „ჩემი სიკვ-

ლე შავი ხალხი, ისე თავგამოდებით აგრიალებდა ტაშს თითოეული კილოს მოსმენის შემდეგ. ამაზე მეტი საბუთი რადა საჭიროა, მაგრამ სიუარბით საქმე არ წახდება და მეც დავსძენ, რომ ფოცხვერაშვილი გაკადნიერებულა და ქართული სამ-ხმოვანი სიმღერებისათვის მეოთხეც მიუმატებია. (ჩვენ შორის დარჩეს და საუცხოო კი გამოდის ასე!) ამას უნდა დავსძინოთ ისიც, რომ მომღერალი არ მოერიდა ჩვენი ,,ჟეშმარიტ-ქართული'' გრძნობების გათელვას და მომღერალთა გუდნში რუსებიც მოიწვია. ბანს ჩინებულათ ამბობდენ, მაგრამ მაინც რუსები იყვენ.

რომ ფოცხვერაშვილი მტერია, მტერი ჩვენი ეროვნებისა, ამას მისი პიესიდანაც დაინახავ. (ამ საგანზე თქვენ ალბათ წაიკითხავდით ისეთი დამსახურებული კრიტიკოსის წერილს, როგორიც ბ-ნი შალვა მესხიშვილია. ხომ იცით მესხები ძველათ განთქმულნი იყვენ მწიგნობრობით და ბ-ნი შალვაც შენიშნავს: მე მუზიკისა არაფერი მესმის, ეს მუზიკანტებმა განსაჯონ, მე მხოლოდ პიესას შევეხებიო. სჩანს პიესის განხილვაში, რუსულათ რომ ვსთქვათ „ძაღლები შეუჭამია.") ეს პიესა იმავ სალამოს ითამაშეს ჩვენმა უბადრუკმა არტისტებმა, მაგრამ არტისტებს რას ვერჩით, დამნაშავე ფოცხვერაშვილია.

ეუღია, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, და საშინლათ გაულანძღავს ყველა ჩვენი სასიქადულო ზნე ჩვეულებანი: უსაქმურობა, უპრინციპობა, ლოთობა ფალავანობა, კარტოფნიკობა და სხ. სადღაც ალბათ მიუკრავს ყური საბავშვო ლექსისათვის:

,,მამა მყავდა მოჭიდავე,
არვინ იყო მისი ცალი,
მაგრამ ეხლა ჭიდაობა
აღარა ღირს გროში ცალი-''ო.

და ყოველივე ეს ჟეშმარიტებათ მიუჩნევია. მერმე ვის უმტყუნებს ყველა ამ სასიქადულო ზნე-ჩვეულებებს, იცით? ვისა და ჩვენს იმედს, ჩვენს მომავალ თაობას, ჩვენს მოზარდ ახალგაზრდობას, ჩვენს სტუდენტობას, ნუ თუ მართლა ასე მიუტევებელი ცოდვაა, რომ სამშობლოს სიმშვენიერეს მოწყვეტილმა, სადღაც უცხოეთში გადახვეწილმა ახალგაზრდობამ დაივიწყოს სწავლა და ქეიფს მიეცეს? არა, ნუ თუ ეს დასაძხარია? სრულიადაც არა! ჩემის აზრით ეს მამულის სიყვარულს ამტკიცებს და სხვას არაფერს. გულში ობლობის დარდი ჩაეჭრათ და რა ვუყოთ, თუ იქარვებენ. ასეთ ახალგაზრდობას დახმარება უნდა და არა ლანძღვა-გინება. მაგრამ ყველანი ფოცხვერაშვილები ხომ არ არიან! ვაშა ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს. ისინი მათ კი არა ლანძღავენ სტიპენდიებს უნიშნავენ და მწარ სიცოცხლეს უამებენ.

აქაც ვერ შეასრულა ბ-ნმა ფოცხვერაშვილმა პირნათლად თავისი განზრახვა. ამბობენ. (და ამას ამბობენ ბ.ნ შალავა მესხიშვილზე არა ნაკლებ გამოცდილი პირნი!) ეს, რაც მას ჩაუწერია თავისს პიესაში, მონაგონიც არ არის იმისი, რასაც ზოგიერთნი მომავალნი მოღვაწენი სჩადიანო. რათ დასჭირდა მას რისიმე დამალვა? ცხადია იმავ ბოროტი განზრახვით.

აქვე საჭიროა (ძლიერ საიდუმლოთ) აღვნიშნო ერთი ამბავი. ფოცხვერაშვილი სხვა რამეებშიაც იჩენს თავის ნამდვილ სახეს და ამეღავნებს ბოროტ განზრახვებს. გუშინ ღამ, ლადიძის ქარხნის წინ ის ერთ ს. დ. გადაეყარა და მეგობრული მუსაიფი გაუბა. არ იფიქროთ მე მომღერალი ვიყო და ამას შურით ვშვებოდე, ღმერთმა დამიფაროს! ასეთი მისი მოქმედება სხვებსაც შეუნიშნავთ.

აი მოკლეთ საქმის გარემოება და იქონიეთ მომავლისათვის სახელმძღვანელოთ. შალვა მესხიშვილისა არ იყოს, მუსიკის მე არაფერი გამეგება, თუმცა ძლიერ მეჩიარეოვნება კარგ რასმე რომ გავიგონებ. გიგზავნი მხოლოდ საჭირო ტერმინებს და შენ თითონ შეადგინე რაც გინდოდეს. (უბედურება ისიც კი არის, რომ თავისი მუსიკალური ნაწარმოებისათვის ფოცხვერაშვილი ჩვეულებრივ ნიშნებსა ხმა რობს და ქართული ანბანი ვერ მოუგონია).

აი საჭირო ტერმინებიც: ადაჟიო, ანდანტე, (დანტე ხომ იცით პოეტი იყო!) ალეგრო (ლატარია კი არ მიაყოლოთ, თორემ ადმინისტრაციენებას არ დართავს!) მოდერატო, პიჩიკატო, (ქალის სახელი არ გეგონოს?) სოსტენუტო, რიტარდანტო, კრეშჩენტო, პიანო, (რუსული მნიშვნელობით არ იხმარო!) დიეზი, ბემოლი, დო-რე-მი-ფა-სოლ-ლა-სი-დო; (ჰო არ დაგავიწყდეს და ,,დო'' ჟეშმარიტ ქართულ დოს არ აურიო. ეს ტონია, რომლითაც ,,მრავალჟამიერი'' იწყება ხოლმე! შემდეგ მოყვება ბრიმა, სეკუნდა, კვარტა (ლუდისთვის სახმარი კი არა!) კვინტა, სექსტა, სეპპინა და სხვა.

ახლა იმედი მაქვს ამ ტერმინების მიხედვით ისეთ რეცენზიას მაინც კი გამოაცხობ, როგორიც ,,სახალხო გაზეთში'' დაუწერია მემუსიკე ,,ბაბოს''.

აბა შენ იცი! დანდობა არ იყოს! ამასთანავე გთხოვ ჩემი ვინაობა არავის გააგებიო **).

თქვენი პატივისმცემელი მამულიშვილი **ქეიფა ფალავანდიძე.**

**) რედაქციამ დ-დხანს ითათბირა ამ წერილის შესახებ და ბოლოს გადასწყვიტა ის არ გამოაქვეყნოს.



მახაროგელი!

(ეშმაკის ინტერვიუ)

ჩემს გულს ისეთი ბაგი-ბუგი გაჭქონდა, როგორიც ქართველი გლეხის ზურგს, სტრაჟნიკის წინაშე მდებარეს! მიხაროდა, რომ ჩემი დაპირება გამართლდა, რომ ქუთაისის საზოგადოებამ გაამართლა დედოფალი ზეინაბი, დიდებული ზეინაბი!

ვაშა, ქუთათურ მართლ-მსაჯულებას!

— უნდა გახაროთ, დიდებულო ზეინაბ, დაპირება აგისრულეთ! ჯერ ისევ კომეტას კუდიდან მივაძახე დედოფალ თამარს.

— ეგ რა ახირებული ცხენი გიშოვნიათ ბ-ნო მიწელო, გაიკვირვა დედოფალმა.

— რასა ბრძანებთ, სადაური ცხენია, უბრალო კუდიანი ვარსკვლავი გახლავთ. ძლიერ დააფრთხო ჩვენი ხალხი ამ უწყინარმა არსებამ. აქაო და გრძელი კუდი აქვსო, ყველა იმის შიშში იყო.

— კუდზე უფრო თავისა არ უნდა ეშინოდეთ?

— არა, ბატო, ჩვენში ყველაფერი უკუღმა არის: მათრახის კუდით დაშინებულ ხალხს, ყველგან და ყველაფერში კუდი ელანდება.

— ახლა, აბა ჩემს საქმეზე მითხარით რამე ეს რასა გავს სწორეთ ვერ გამიგია: ჩემს სატახტო ქალაქში დამგმეს და იქ, ქუთაისში კი გამამართლეს!

— რა ვუყოთ, ქალბატონო, ეს სულაც არ არის გასაკვირი, მეტადრე ჩვენს დროში. გურულ გლეხს ტყვილათ კი არ უთქვამს: „დღემანდელი სამართალი კონჩინაია, მეტი აფერიო.“

— რაო? რაო?

— კონჩინაა, სხვა არაფერიო.

— მერმე ეს კონჩინა რასა ნიშნავს?

— ღმერთო ჩემო! როგორ ჩამორჩენიხართ ცხოვრებას! მაშ თქვენ ბანქო რა არის არ იცით?

— რის ბანქო ყმაწვილო?

— კარტი, აი სათამაშო ქაღალდი, დღეს მთე. ჩვენი ახალგაზრდობა, შუახნისანი და მოხუცნი ბანქოს თამაშში ატარებენ დროს; ხუთი წლის ბავშვა უკვე იცის მისი რიგება, მუშები, უსაქმო ინტელიგენტები იმის მეტს აღარაფერს აკეთებენ და თქვენ არც კი გცოდნიათ მისი არსებობა!!

— რა ვქნათ, ჩვენ დროს ეგენი არ იცოდენ.

— ჰო და კონჩინა ერთნაირი თამაშია: დღეს შენ მოიგებ, მეორეჯერ სხვა, მესამეთ შეიძლება ისევ შენ მოიგო.

— მერმე სამართალიც ასე სათამაშო გახდა?

— განა ვერა ხედავთ? თფილისში თქვენ წააგეთ, ქუთაისში მოიგეთ. ახლა ბათუმში რომ გადაიტანონ კასაცია, იქ შეიძლება კიდევ წააგოთ. ნამდვილი კონჩინაა!

— კაცოო, არ შეიძლება ჩვენც გვასწავლოთ ეგ რაღაც კონჩინაა? შემეხვეწა ბესო.— ლამის დავწყდეთ უსაქმობითა

— ჰაი გიდი, როგორ გეტყობა, რომ ქართველი ინტელიგენტი არა ხარ! ისინი თუნდა მთელი საუკუნოებით იგორავებენ აქაურ მწვანე მინდორზე.

— თქვენ ის მითხარით: ქუთათურმა სამსჯავრომ ერთპირათ გამამართლა? შემეკითხა ზეინაბი.

— ერთი სიტყვით გაგამართლეს, დიდებულო ზეინაბ და ეს წვრილმანები რაღა საჭიროა... დაბნეულათ და დარცხვენილათ მივუგე მე.

— არა, განა ასე ძნელია უბრალო პასუხი?

— მოგახსენებთ, მოგახსენებთ! როცა თქვენმა დამცველებმა კიტა რობაქიძემ და გრიგოლ აბაშიძემ სიტყვები წარმოსთქვეს, მთელ ხალხს თმები ყალყზე აუდგათ, ისეთი ძლიერი იყო მათი არგუმენტაცია.

— ალბათ თავადები არიან ეგ დამცველები? იკითხა ანანიამ.

— ორივე წმინდა სისხლისანი არიან, ნამდვილი თავადები! ჰო, იმათი სიტყვის ძლიერებით მსაჯულებსაც (რასაკვირველია ვისაც ჰქონდა) აღუდგათ თმები. შეიქნა ჯახი და უცებ ორი პარტია გაკეთდა: ნახევარი გამტყუნებას მოითხოვდა, ნახევარი გამართლებას. საქმე გადასწყვიტა თავმჯდომარის ნახევარმა ხმამ!

— მაშ ნახევარი ხმით გამამართლეს?

— დიახ, დიდებულო თამარ!

— ნახევარი ხმითაო? წამოიძახა ბესომ

— რაო? ნახევარი ხმითაო, შვილო? შემეკითხა საბა.

— როგორ თუ ნახევარი ხმით! გაჯავრდა ოთარი.

— ნახევარი ხმა რაღას მიქვია? დაიგრიალა დათომ.

— რა ვქნათ ბატონებო, საქმე განაჩენია და არა დანარჩენი! ქუთაისში ყველაფერი სანახევროთ იციან!

ეშმაკი.

მესტვირული

(ფოთისათვის)

ეშმაკო! თუმცა ბევრი გყავს
მთხოვნელი გუდა სტვირისა,
მაგრამ მნახველი რომ იყო
შენ ჩვენი გასაპირისა,
რა ყოფაშია მუშები
კაპარჭინისა პირისა
მაშინ მეც მომცემ, უფლებას
იმ შენი ტურფა სტვირისა,
რო მე ჩავსძახო, იმან სთქვას,
ვინ ილხენს, ვინა სტირისა.
ქარხანას კარად მივიტან,
სადაც ომია ხშირათა,
მინდა რო ვკითხო „ხაზეინს“,
მუშა რათ უჩანს ჩირათა,
ისედაც ტანჯულ სიცოცხლეს
რათ უხდის უფრო ჭირათა,
მუშტებით რატო დაესხმის
მძინარეს ცეცხლის პირათა,
შენ გეკითხები ერმალოზ,
ამას სჩადიხარ, სთქვი რათა?
ნუთუ არ გეყო აქამდე
რაც საქმე ჩაგიდენია?
უმართლოდ შენი მუშები
ქუჩაში გაგიდენია,
ყალბი ქანქარის მიცემით
ტყის მუშას ცრემლი სდენია,
რომ ტანჯულ გულში ჩაგერთო
დამწველი, ცეცხლის გენია.
ნუთუ „საგმირო“ საქმენი
შენს გულს აღარა სწყენია,
ან თუ გაკოტრდა სინდისი
აღარაფრისა სცხვენია?
მსაჯულიცა და კანონიც,
შენთვის მუშტი და ხელია,
სადაც არა სჯობს, მიხვდები,
ვაძვრები როგორც მელია,
აბა კავშირი ვისთან გაქვს?
(საჯაროთ არ სათქმელია,)
ცნობილ ტრიდიმოს სტუმრობა,
შენთვის მხრჩობლ სანატრელია,
შესაფერ სტუმარს შეხვდება
შენგვარი მასპინძელია.
მინდა ცოტათი აღვნიშნო
ამბავი შენი გმირობის:
ამ ბოლო ხანში, მუშებთან
წამოყენება პირობის,
უმორჩილესად მოთმენა
ყოველი გასაპირობის,
არ განცხადება არ ოდეს
ნაშრომ ქანქართა ძვირობის:
„თუ ასე გინდა, პირობას
ხელ-ფეხი მოაწერთო,
გაფრინდა თქვენი დროება,
დამნებდით, დაიჯერეთო,
ზურგი აქციეთ ეშმაკებს
პირჯვარი დაიწერეთო,
თვარა არ გნახო „ზაოდში“
ქუჩაში გაიმღერეთო.“
მუშებმა გითხრეს: ,,პირობა
ჩვენი მარჯვენა არისო,
მუშაობა გვსურს ერთგული
და მით აღება ფარისო,
პირობის ხელის მოწერა
არც შეგვფერს, არც გვიხარისო
და ამიტომაც გახლავართ
მომხსენებელი ვარისო‘‘.
ამის გამგონე ერმალო
ლამის რო გადაგვერია,
ვინც არ უყურა თქვენს ბრძოლას
ხომ ძნელი დასაჯერია,
შენ რომ კვინტრაძეს დამართე
ისე ნურც თქვენი მტერია,
ცხირ-პირში სისხლი სდიოდა
სახეზე ეცხო მტვერია...
ონისიმემაც იგემა

მუშტების თქვენის ძალანი
საბრალოს მეტი შიშითა,
ყალხსა აღუდგა ბალანი,
მაგრამ მაინც დამაგრდა
ღვინოს მიეცა ძალანი
ილხენდა მთელი რო შერჩა
მას და სხვებს თავის ქალანი.
ბარისოვსაცა მიმართე
ვერდების დასაზელათა,
მაგრამ ორგულმა ,,ხაზეინს''
ხელი მოგკიდა ძნელათა
კინალამ საქმე გაგიხდა
რაინდო ხათაბელათა,
რომ ვინმე არ გაგჩენოდა
მომხმარედ მოსაშველადა.
თუ კი გწადია განკურნვა
ამა უპირო ჭირისა,
მე მეგულება წამალი
ნაცადი მრავალ პირისა.
კუდინი მონადინები,
ჯოჯოხეთისა ძირისა,
გულისა შემაკრთობელი,
გამამწარები პირისა,
უებარი ვარ ექიმი
ამგვარი გასაჭირისა.
დასახელებულ წამალის
შოვნა კი გასაჭირია,
სიფრთხილით მისვლა უთუოდ
მთავარ ეშმაკთან გჭირია,
ნიშანს გასწავლი იმისას
თუ ადრე შეგიპირია,
ასი მათრახი მოგხვდება
რაც იქა აგრე ხშირია,
არ შეგაწუხოს სიშორემ
უნდა დამუწო პირია.
(დანარჩენს ესეფს ვასწავლი,
ვხედავ იმასაც სჭირია.)

სულ ერთია.

განმეორებითი გამოცდა.

(თარგმანი)

ყველანი საეკზამენო სტოლს უსხედან. უცდიან და უკვირთ:

— ნეტავ რისთვის არ მოდიან ბავშვები? ნუთუ დრო არ არის? ეი, ბიჭო! არ იცი რისთვის იგვიანებენ ყმაწვილები? ხომ იციან გამოცდა იწყება.

— ეშინიათ ბატონო! აცხადებს მსახური. ვინ იცის, ვინ სად მიიმალა.

— სისულელეა! მიკვირს, რისა უნდა ეშინოდეთ. აბა წადი, მონახე სადმე კუთხეებში, გამოათრიე და მოიყვანე. აბა ჩქარა!

მსახური ბუზღუნით მიდის და სამიოდ წუთის შემდეგ შემოჰყავს ხუთი მოსწავლე.

— აჰა, გვრიტუნიებო! გაიხარეს ეკზამენატორებმა.—განა არ იცოდით, რომ თქვენ გელოდებოდით? აბა ახლო წამოსდექით. ხე, ხე, ხე! სხვები სადღა არიან? სად არის მაგალითად სიმონ არტამონოვი?

ერთი ბავშთაგანი წინ წამოდგა და განაცხადა:

— ის გაიქცა.

— რაო? გაიქცა?

— დიახ, გაიქცა. აფრიკაში გაიქცა.

— როგორ გაიქცა, როგორ მოახერხა?

— ისე, როგორც სხვა მოგზაურები შვებიან: იშოვნა სამი აბაზი, ერთი მაკრატელი, გრამოფონის ტარი და გაიქცა.

— მერმე რას ამბობდა, როცა გასაქცევათ ემზადებოდა?

— არაფერს. მშვიდობით ძვირფასო ამხანაგებო. თქვენ აქ ეკზამენზე იარეთ, მე კი წავალ და იქიდან თითო ბიზონს გამოგიგზავნითო.

— აი ნამდვილი სულელი! ვანო მალიავკინი რაღა იქნა? რატომ არ გამოცხადდა დღეს?

— ვანო ვერას გზით ვერ გამოათრიეს.

— როგორ თუ ვერ გამოათრიეს. ოჰ, რა ზარმაცი რამა ყოფილა! მშობლები რაღას აკეთებენ, რა მოხელენი არიან?

— მშობლებიც ეძებენ.

— როგორ ეძებენ? შენ, ჩემო კარგო, რაღაც სისულელეებს როშავ. წედან სთქვი ვერ გამოათრიესო, ეხლა ამბობ ეძებენო. სად ეძებენ?

— სად უნდა ეძებდენ? სადა და წყალში. მეორე დღეა ეძებენ, მაგრამ ვერას გზით ვერ იპოვეს.

— ბანაობდა?

— არა, რა დროს ბანაობაა!

— აჰა, ძალიან კარგი, მაგრამ ეს ილიკო სინიცინი რატომ აღარ მოვიდა?

— არც იმას შეუძლია.

— რატომ?

— წევს. დაულევია.

— ეს ასე არ ითქმება, ჩემო კარგო! უნდა სთქვა ,,მთვრალია'' და არა ,,დაულევია''.

— ის მთვრალი არ არის.

— მიკვირს სწორეთ! მაშ რა დაულევია?

— საწამლავი. გუშინ წინ მე გამომართვა ორი შაური. ხომ დამეკარგა ახლა ის ფული...

— ნუ სტირი, გაჩუმდი! თქვენ ყველანი გიჟები და წამხდარები ხართ. დარწმუნებული ვარ, შენ ეკზამენისათვის ერთი სიტყვაც არ მოგიმზადებია?

ბავშეს თვალები მიებნიდა, ნერწყვი გაუშრა!

— როგორ არა... მოვა... მზად...

— აჰა, ძალიან კარგი! მაშ ახლო მოდი, წინ წამოდექ. აბა მითხარი, ჩემო კარგო, რომელი წლი-

დან იწყება კარლოვინგების დინასტია, გვარეულობა? ნუ შეგეშინება, ყოჩაღათ იყავ! აბა?

ბავშვმა ნერწყვი გადაყლაპა. ოთახს თვალი მიმოავლო...

— რომელი კარლოვინგებისა?

— როგორ რომელის? თითქო არ იცოდე, რომელს გეკითხები. რომელისა და ჩვეულებრივი კარლოვინგების. აბა?

— აი ამ... ათას რვაას. .

— ბატონებო, ზიზღით წარმოსთქვა ეკზამენატორმა,— განა ეს შესაძლებელია? ამ ყმაწვილმა არ იცის კარლოვინგთა დინასტიის დაფუძნების ხანა. როგორ მოგწონთ ბატონებო, ა!

— მართლაც რომ... ჩაიქნია თავი მოხუცმა ეკზამენატორმა. სწორეთ კარგები არიან ყველანი, უკეთესი აღარ შეიძლება!! დღეს კარლოვინგებზე არაფერი იციან.. ხვალ დედას. გამოსჭრიან ყელსა...

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ, დიდებული აზრი წარმოსთქვით, სწორეთ დიდებული. ხვალ დედას დაკლავენ, ზეგ მამას, მაზეგ ისევ დედას და ასე ციხის კარებამდე. დაეგდე შენს ადგილზე, კაპლუხინო! გამოვუძახოთ კიდევ ვისმე... მალიავკინ!

— ის ჯერ არ გამოუთრევიათ! მოისმა შეშინებული ხმა უკანა სკამიდან.

— ჰო, ჰო, ვიცი, ვიცი. შენ პეტერსონ, აბა წინ წამოდექ! რა იცი მეფე კოსინუსის შესახებ. მოჰყევი!

პეტერსონს თვალები გაუბრწყინდა, ერთი ჩაახველა და დაიწყო:

— მეფე კოსინუსი იყო მეფე... ქვეშევრდომებს ის ძლიერ უყვარდათ, რადგან ის ანადგურებდა ქვეყანას... ის კარავში ცხოვრობდა, ცხენის ხორცს სჭამდა და ნამდვილ სპარტანულ ცხოვრებას ეწეოდა. სპარტანელებს უწოდებდენ იმ ტომს, რომელიც მთაზე ცხოვრობდა და თავისს უვარგის, მახინჯ შვილებს ჭწყალში ყრიდა. იმათი ცხოვრება ნამდვილ სპარტ...

— მოიცა, მოიცა! შეაჩერა ეკზამენატორმა,— შენ მეფე კოსინუსზე გითხარი თუ რამ იცი; აი თუნდ რომელი წლიდან, რომელ წლამდე მეფობდა

— ის მეფობდა 425 წლიდან 974 წლამდე... მასწავლებელს გაეცინა.

— ეჰ შენ სულელო! ჯერ ერთი, მეფე კოსინუსი მე განგებ მოვიგონე, რომ შენ დამეჭირე ასეთი მეფეარცა ყოფილა; მეორეთ, შენ გინდოდა სპარტანელებზე გადამხტარიყავი, რადგან ის გაზეპირებული გექნება. მესამეთ, შენებურათ მეფეები 500 წლობით ცხოვრობენ. დაჯექ, ძმაო. გაის ამ დროსაც ამავ ალაგას შევხვდებით ერთმანეთს. პრიანიკოვ! სად არის პრიანიკოვი? ის ხომ აქ იყო? რაიქნა?

— სტოლს ქვეშ ჩაძვრა.

— რისთვის ჩაძვრა? დამალვას აპირობს? აბა გამოათრიეთ იქიდან.

დაუწყეს თრევა. პრიანნიკოვი ჩაეჭიდა სტოლის ფეხებსა და გაშტერებული თვალებით შესცქეროდა დამ(ეემლებს.

— გამოდი პრიანნიკოვ! გამოდი, აბა ბიჭო, გამოათრიე!

— არ გამოდის.

— არ გამოდის? ვარესი მისთვის, ჰეჩკინ! აქაა? აბა წამოდექ!

— ეს, თქვენო აღმატებულებავ, ჩვენი სიამაყეა, პირველი მოსწავლეა. ჰეჩკინ, რომელ წელში გარდაიცვალა გელიაგაბალი? ყოჩაღ! ვისი შვილი იყო ფრიდრიხ ბარბაროსსა? კარგი, ძალიან კარგი. სწორეთ დადექი, ნუ ინძრევი. ჰეჩკინ, როგორ ცხოვრობდა ლიუდოვიკო V.? ყოჩაღ, ყოჩაღ! მხოლოდ ნუ ინძრევი, ნუ იხრები. ჰეჩკინ! სწორეთ დადექ! აბა რას იტყვი ,,რვა წლის'' ომზე? კარგი, ჩინებულათ გაგიზეპირებია! ნუ ინძრევი თუ ღმერთი გწამს, აბა ახლა მოგვიყევი რამე...ფინიკიელთა შესახებ? ჰეჩკინ, რას ინძრევი?.. სტოლზე ნუ წვები... როგორ ბედავ საეგზამენო სტოლზე ჩამოწოლას? გინდა რომ ყოფაქცევა მოგაკლდეს?.. რაო? აღარა სუნთქავს!! ჰეჩკინ, შენ აღარ სუნთქავ? ექიმი, სად არის, ექიმი! აქ არის? რა დაემართა ბ-ნო ექიმო ჰეჩკინს, მოკვდა? ბიჭო, აბა ეტლი, ეტლი!

— დილიდანვე აქა სდგას ბატონო თქვენი ბრძანებისმებრ.

— აბა გაათრიე ეგ საცოდავი! ერთად ერთი ჩვენი სიამაყე ეს იყო და შეხედე ესეც.. აბა მოჰკიდე ხელი! ჰეტერსონ, შენ მანდ რაებსა ყლაპავ? ხომ იცი ეგზამენზე ჭამის დრო არ არის... რაო? პარაშოკიო? რის პარაშოკია? შენ ნუ იკეცები, როცა მასწავლებელი გელაპარაკება, გესმის? რათ ეცემი, რა გემართება? ეს რა გიქნია? როგორ ბედავ ამას? შენ ეკზამენი იმისთვის დაგინიშნეს, რომ აქ პარაშოკები ყლაპო? აბა, ბიჭო, ესეც გაათრიე. კოლიუხინ! სკოლაში რევოლვერის სროლა არ არის ნებადართული. რაო? თავის თავსაო? არც თვითმკვლელობა შეიძლება. სირცხვილია ესეც გაიტანე, ბიჭო! პრიანნიკოვ გაბრიელ, გამოძვერ მაქედან. არ გინდა? აბა მაქედან სთქვი: რომელ წელში დაარსდა განზეელთა კავშირი. არ გინდა გვიპასუხო? მაშ იჯექ მანდ სულელივით.

— თქვენო აღმატებულებავ, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ გამოცდა დამთავრებულია!

მედუზა გორგონა.

სოფლის მასწავლებელი ტლეკიაძე.

— მაშ, მოდის, მოდის ხვალ ინსპექტორი! აღტაცებით წამოიძახა მასწავლებელმა ტლეკიაძემ და ელების სრესით ერთი კიდეც შეიკუნტრუშა. თან გულში, სიხარულთან ერთად, სევდამაც გაურბინა. „ვაი თუ ვერ წავიდეს საქმე კარგად .. ვაი თუ ვერ უპასუხონ მოსწავლეებმა როგორც წესია... მაშინ ხომ... ხომ...“ მარა უცებ მოიშორა ტლეკიაძემ ეს არა სასიამოვნო ფიქრი და ისევ სიამტკბილ ოცნებას მიეცა.

აი, ვითომ, მოსწავლენი სხაპა-სხუპით უპასუხებენ, ინსპექტორი მადლობას ვერ აუდის, თვითონ ტლეკიაძე მეტის ბედნიერებით ლამის დადნეს; ესაა მოეხვიოს ინსპექტორს, ჩაკოცნოს, პირში შაქრათ ჩაადნეს .. აი საიდგანღაც იყო, „სმოტრიტელის“ ადგილიც მოებლანდა და ლაღათ აუცურდა ეს თანამდებობა თვალის გუგებში. რაკი თავი ისახელა, ინსპექტორმა აამაღლა, სმოტრიტელობა მისცა, ხელქვეითი მასწავლებელი დაუნიშნა, გამოპრანჭული დადის მაინში, მბრძანებლობს..

თვალწინ წარმოუდგა მომხიბლავი სურათი: აი მიდის სულ ჩაკაკარდ-ჩაყვითელფოლაქებული, ქუდის კოზირი ცხვირზე დაუდევს, ხელში ხლისტი, ფეხსაცმელებს სულ პრაწა-პრუწი გაუდის... სოფელში გზას აძლევენ, ესალმებიან... ქალიშვილები ჩურჩულით კითხულობენ, ,,ვინაა ეს ჩინოსანი?'' და სხვა ასეთები.—ერთის სიტყვით, მასწავლებელმა ტლეკიაძემ შორს შესტოპა ფიქრთა მორევში. მან უკვე თავი სმოტრიტლათ წარმოიდგინა და შემდეგ საფეხურებს მიაპყრო თვალი...

— სადილი, სადილი უნდა ვჭამო ისეთი, რომ თითები ჩაიკვნიტოს... ფიქრობს ტლეკიაძე,—რა და რა მაქვს ნაყიდი? ა? ჰო, ღვინო, გოჭი, ყველი, ახალი ქათმები, ჩასაცივებული ინდოური... სარდინკები... ხილეულობა... ერთის სიტყვით სასახელო სადილი უნდა ვაჭამო, სასახელო!.. კარგად რო ვასიამოვნებ, აი სწორეთ მაშინ მივართმევ ჩასაწერათ „რევიზიონნაია კნიგას'' და ისეთ ,,ზაპისს'' ჩავაწერინებ, ისეთს, რომ. . და ისევ აუვარდა მეტის სიამოვნებით ნერწყვობა...

— მერმე მოსვენება ხო დასჭირდება... სულ ბუმბულებში უნდა მოვასვენო. . აბრეშუმის საბანი უკვე ვიშოვე... ერთის სიტყვით თავი უნდა ვისახელო!..

და ისევ შესცურა ოცნების ტალღებში ტლეკიაძემ... ვინ იცის, რაზე არ ოცნებობდა... მთელი თავისი მასწავლებლობა მოაგონდა, თან თავისი „პოსლუჟნოი სპისოკიც“ სულ გადაქექა. აი აგონდება, რომ ახალ-გამოჩეკილია, სულ გუშინ თუ გუშინ წინ მიიღო მასწავლებლის წოდება, დაახწია სასწავლებელს თავი და ცხოვრებაში გამოვიდა. მაშინვე კაკარდებიანი ქუდი გაირტყა; ღარიბ მშობლებს შავი დღე გაუთენა, სანამ ახალ ტანისამოსს, თანამდებობისათვის შესაფერ სამოსელს არ გაეხვია. მშობლებიც, რასაკვირველია, შვილთან ერთად გაბედნიერებულათ თვლიდენ თავს და ურიის ვალი რო აეღოთ, შვილს როგორ არ გამოაწყობდენ მტრის ჯინაზე.—„შენ დაგენაცვლოს შენი დედაო'', უთხრა ტლეკიაძეს დედამ, როცა შვილი ყვითელ ფოლაქიან პიჯაკში და კაკარდიან ქუდში დაინახა. მაზე ბედნიერი ქალი ამ დროს მთელ დუნიაზე არ იყო; ამის შემდეგ ან შიმშილს, ან წყურვილს თუ იფრძნობდა, ფიქრათაც არ მოსვლია.

ტლეკიაძემ ადგილი იშოვა, მაგრამ ამ დროს განმათავისუფლებელი მოძრაობაც დაიწყო. ყვითელი ფოლაქების და კაკარდების ტარებაც სასირცხო შეიქნა. ტლეკიაძემაც იგრძნო ეს სირცხვილი და შლიაპა იყიდა, ფოლაქებიც სადღაც ზანდუკში ჩაყარა.—,,შვილო, ნუ შობი ამას, შენ ნუ მომიკვდები, ეს რუსული ქუდი უფრო გშვენიაო'', არწმუნებდა დედა, მარა არაფერი გაუვიდა, ტლეკიაძე გამოეთხოვა ამაებს, თუმცა, სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, დიდათ არც მას სიამოვნებდა ესა და ფიქრობდა: რა ყოფილა ეს ახალი თაობა! აბა რითი უნდა მიცნონ. რომ უჩიტელი ვარო. ერთის სიტყვით ტლეკიაძემ კანი გამოიცვალა.—მარა საბედნიეროთ, კვალად მობრუნდა დრო, როცა ყვითელ ფერს, კაკარდებს და მენდლებს ისევ ფასი დაედო. ტლეკიაძემაც მოძებნა ძველი სამკაული. ფოლაქები დაჟანგულიყო, ისე კაკარდა. დედას კვაწარახი გამოართვა, შიგ ჩაყარა ყველა და სულ ოქროსავით ააბრჭყვიალა. აი სწორეთ ამ დროს გაიგო, რომ ინსპექტორი მოდის სარევიზიოთო და გულიც აუფანცქალდა.

გათენდა დილა. ტლეკიაძე განთიადისას ფეხზე იდგა, სკოლაში შევიდა, გაიარ-გამოიარა, ჯერ ერთი მოსწავლეც არ იყო მოსული. დააწმენდინა და დააკრიალებინა ,,სტოროჟს'' იქაურობა. ჟურნალს მეაასედ შეავლო ხელი, გასინჯ გამოსინჯა: შეცდომით არაფერი მქონდეს ჩაწერილიო. როცა ,,სტოროჟს'' თვალი მოარიდა, პირ ჯვარი გამოისახა, უნდოდა ხატისათკის ამბორი ეყო, მარა საუბედუროთ მაღლა ეკიდა. შემდეგ ისევ თავის ოთახი დაათვალიერა; ეშინოდა: ,,ისეთი არაფერი მინახოს, რო რამე შემომწამოს, ახალთაობის რამე არ მოეჩვენოს, ეს ოხერი ბლუზა მაქ და უნდა დავმალო, ეგონება ბლუზით ვარ კლასში და ბლუზით ხო ერთობის ხალხი დადისო. შლიაპა ხო არა მაქვს და ისაა. გაზეთები... ხო მართლა... მარა რო არა მაქ სულაც... აქ არაფერია საშიში. არა, კი, გუშინ საჭმელები გამომიხვიეს ერთ ქართულ გაზეთში... ერთობის გაზეთი უნდა იყოს, არსად შეხვდეს. ტლეკიაძემ სადღაც მონახა ეს გამონახვევი გაზეთი

და გააქრო. გამოაწყო, სკოლას თუ კი მოეძეოდა დაჩინჩული წიგნები და თვალსაჩინო ადგილას დადო. მოსწავლენიც შეიკრიბენ. ტლეკიაძემ ყველანი მეათასედ დაარიგა, თუ როგორ უნდა მოქცეული ყვნენ, როგორ შეხვედროდენ, ეპასუხნათ და სხვა. ცუდი მოსწავლე ვინც იყო, იმას სულ უაკრძალა ამ დღეს სკოლაში მოსვლა, ხოლო უკეთესები უფრო წინ დასვა, წმინდა და კარგად ნაწერი რვეულები ზევით დაალაგა იმ იმედით, რომ ინსპექტორი უწინ ამ რვეულებს ნახავს. ერთის სიტყვით ტლეკიაძე მზათ იყო.

გავიდა პირველი გაკვეთილი, მეორე, მესამე, ინსპექტორი არა ჩანს. სივდება გულზე ტლეკიაძე, ვერ ეტევა კანში. ბავშვებს ხო სულ მოეშალათ ნერვები. ყოველი გახმაურება ინსპექტორს აგონებს. ყველანი დაიღალენ, მოდუნდენ.

,,ღმერთო, იპრიანე და დღეს ნუ მოიყვან, რაკი ასე დაიგვიანა ', ლოცულობს ტლეკიაძე, მარა... აი ინსპექტორიც გამოჩნდა. ტლეკიაძეს ფეხები მოეკეცა, ენა დაება, თავს ძლივს იმაგრებს ინსპექტორმა მას არც კი მიაქცია ყურადღება, მაშინვე სკოლაში შევიდა და ბავშვებს მიესალმა: здрав... да-да...да... Ваше превохо .. хо.. хо-.. მიაზმუკუნეს ბავშვებმა, სულ აირიენ, დაიბნენ. ინსპექტორი მოიღუშა, ტლეკიაძე მოკვდა. შეუდგენ საქმეს. ვერც ერთი პასუხი ვერ მიიღო ინსპექტორმა დასაკმაყოფილებელი. ტლეკიაძეს ეგონა, ასე კი თხავდა ინსპექტორი, ნამდვილათ კი ისე იკითხა აირია მონასტერი, შენდება ბაბილონის გოდოლი. ინსპექტორი იღუშება, ტლეკიაძემ გაიფუჭა ყველაფერი, ენა სასაზე აეკრა და ხმას ვერ იღებს. გაბრაზებული ინსპექტორი რვეულებს ეკვეთა და ტლეკიაძის საუბედურო რვეულები ქვევიდან გამოიღო, დაიღუპა ტლეკიაძე, მიწასთან გასწორდა... რა ქნას, სად გამოჩნდეს, ვის შეხედოს. ჩაუვარდა ნაცარში კოვზი.., გაბრაზებულმა ინსპექტორმა მაშინვე სკოლა დატოვა, ცხენზე შეჯდა და ტლეკიაძეს დაუბარა: სარევიზიო წიგნი გამომიგზავნეო. არც სადილი ჭამა, არც მოისვენა. დაესხა ყურებზე წყალი ტლეკიაძეს... ალბენი ხარჯიც ტყვილა ნახა და თან თავიც შეირცხვინა.

იმედ დაწმენდილი, სასოწარკვეთილი მოუჯდა უბედური სტოლს და არ იცოდა, რა ექნა!

ეშმაკუნა.



წკიპურტ-ლექციები

(სერაგისათვის)

უკაცრავათ, ბატონებო და ქალბატონებო, თუ ჩემს პირველ ლექციაში ორი-სამი დაწესებულება ისე ყრუთ დავასახელე, რომ არავითარი განმარტება მათ შესახებ თქვენთვის არ მოვიხსენებია. უტაქტობა იქნება ჩემის მხრით, ამ დაწესებულებათ უბრათ ჩაუარო; თუმცა, ღვთის წინაშე, მათზე საუბარი არც ისე უშიშარია!

მაშ ეგრე! დავიწყოთ მაზრის სამმართველოდან.. მარა ღირს-კი მაზრის სამმართველოზე ლაპარაკი? რაღაა ჩვენი მაზრის სამმართველო! აღარც მათრახს, აღარც კონდახს და აღარც მუშტს, ახლა იქ გასავალი არა აქვს! ჰაი გიდი! სადაა კოწიას ბატონობის დრო! პოლიცია მაშინ გავდა პოლიციას, თორემ ახლა რაღაა! პოლიცია რომ მთხოვნელს წინ შემოგეგებება და ზრდილობიანათ ეტყვის: ,,მობრძანდით, დაბრძანდით, რას გვიბრძანებთო'' ეს რაღა პოლიციაა?! დრო მაშინ იყო, როცა მიუახლოვდებოდი თუ არა პოლიციის კარრებს, გული ბრაგუნს დაგიწყებდა, მუხლები კანკალს და ხელები უნებლიეთ ჯიბეში მიძვრებოდა, ყოველ შემთხვევისათვის რომ ჯოჯოხეთის კარების ამოსაქოლავი მასალა მზად დაეჭირა. აბა რა პოლიციის საქმეა, ბატონებო, რაღაც სკოლებზე და კულტურულ დაწესებულებაზე ლაპარაკი? მარა, იცოცხლეთ, მაგ საკენკზე ჩვენ ვერავინ მიგვიტყუებს. ბარე ორჯერ სამჯერ დავპირდით პოლიციას პროგიმნაზიებისთვის ფულს გამოვიღებთო, მარა როცა საქმე საქმეზე მიდგა, ვუგვერდეთ და მშრალზე დავსვით. მარა, არც თლა ასე ცუდი თვალით უნდა გავზომოთ ჩვენი პოლიცია: ,,ცენტრმა'' თუ უღალატა კოწიას, დროროის ტრადიციებს, სამაგიეროთ ,,ოკრაინები'' მაგრე რიგათ როდი დასუნტებულან! თქვენც არ მომიკვდეთ! აბა მობრძანდით ,,ოკრაინებში'' და ნახეთ თუ სოფლის ,,სტრაჟნიკები'' ღირსეულათ არ ასრულებენ თავის მოვალეობას! უბრალო ერის კაცს კი არა, მღვდლებსაც, მამასახლისებსაც და სოფლის მსაჯულებსაც მუხლები უკანკალებთ მათ შეხვედრაზე. (იხილეთ კორესპოდენცია ,,ფონში'') ამბობენ ყოველივე ეს ცენტრსაც მოეხსენება, მარა არა სჯერაო...

მაზრის სამმართველოსთან, ბატონებო, მაზრის სამსჯავრო უნდა მოვიგონოთ. მოვიგონოთ კი, მაგრამ შიგ შესვლას არ გირჩევთ, რადგან მოსალოდნელია, ვისმე თვალში არ მოეწონოთ და იქვე საჩივარი აღძრას თქვენს წინაღმდეგ, (თუნდ თავის დღეშიც არ გენახოთ.) მე თქვენ გეტყვით საჩივრის დამწერს ვერ იშოვის! ჩვენი ,,ატუნკატები'' ტორგს გამართავენ და ორ შაურამდე ჩამოიყვანენ საჩივრის დაწერის მაზანდას. ჰო და ორი შაურის გადახდა რა დიდი საქმეა! გიჩივლებს ვინმე—გამლანძღაო, მოწმეებს, თუ უნდა, ხელათ ათს იშოვის და მერე უყარე კაკალი! ერთი ხუთი მანეთი მაინც უნდა შემოიველოთ თავზე, რომ ყაილას გადარჩე. მორიგების პირობებს ყველაზე უწინ ის ,,ატუნკატი'' შეიმუშავებს, რომელმაც თქვენზე ორ შაურად დაუწერა საჩივარი. ამ თქვენი ხუთი მანეთიდანაც ცოტა გასამსჯველოს დასცინცლავს და საჩივარიც ხომ ამისთვის დაწყებინეს!

გამოსაძიებელი საქმე თუ გაქვს რამე, ამისთვის თავს ნუ შეიწუხებთ, ამ ხელობის მსახურს ფემიდასთან ჩხუბი მოსვლია და მის ტაძარში ვერ ნახავთ; ამბობენ ბახუსის ტაძარს მეტს პატივს სცემსო, დიახ, ამ დაწესებულებას მაინცა და მაინც ნუ ეტანებით. აი მიბრძანდით ფოსტაში! გაზეთიდან ლმერთმა დაგვიფაროს, მარა იქნებ ვისმესაგან სასიამოვნო წერილი მიიღეთ. ფული თუ გაქვთ მისაღები, ჯერ გზაზე ეკლესიაში შეუხვიეთ, ხატებს სანთელ-საკმეველი შესწირეთ და შეეევედრეთ, რომ თქვენი მისაღები ასიგნაცები უბრალო თეთრ ქაღალდებათ არ იქცეს. თორემ, ამბობენ, ასეთი სასწაულებიც ძლიერ ხშირი საქმეაო.

ამ მცირე მიმოხილვიდან თქვენ ნათლათ დაინახავთ, ბატონებო, რომ ჩვენს დაბას ქალაქის ყოველი ღირსება აქვს და თუ მას დღემდე ქალაქი მაინც არ ჰქვია, ეს იმის ბრალია, რომ შარშან ქალაქის პლანის ასაღებათ შვიდასი მანეთი რომ მივეცით მიწის მზომელებს, იმათ უფიქრიათ: ქალაქი ხომ უწყლოთ არ ვარგაო და ჩვენი დაბის საზღვრები დასავლეთით მდ. ცივის და აღმოსავლეთით ტეხურის ნაპირებამდე გაუწევიათ. ეს პლანი წარუდგენიათ უმაღლეს მთავრობის წინაშე, მარა მთავრობა სახტათ დარჩენილა: ,,ამოდენა ქალაქი გვქონია კოლხიდის ერთ კუნჭულში, ჩვენ-კი აქამდე არაფერი ვიცოდითო'' უთქვამს მას.

მთავრობა უკვე შესდგომია ჩვენი საქალაქო დაბის საზღვრების შესწავლას, მაგრამ, ამბობენ 30 წლამდე მის შესწავლას ვერ მოასწრობენო. ერთი სიტყვით ადრე თუ გვიან ჩვენი დაბა ქალაქად მოინათლება, ხოლო ჩვენ რამდენად ვართ მომზადებული მოქალაქობრივ ცხოვრებისათვის ამაზე მერე მოგახსენებთ, რადგან ეხლა ეშვება.

P. S. შემდეგი ლექცია განსაზღვრულია ახლო დროისათვის*) **ფარდა.**

*) ალბათ იმ დროისათვის, როცა ექიმი სობოლევსკი დაამთავრებს თავისი მოგზაურობის მეორე ნახევარს.

ეშმაკი.

გზა და გზა

რაჭა ლეჩხუმისაკენ.

სამაისო მშვენიერებას ქუთაისი ტურფად მოეკაზმა, მოცლილი სერთუკოსანი ახალგაზრდობა ბულვარის ერთ გვერდით გამოშლილიყო, და ჩოხოსანთა უსაქმო გუნდიც ლაღიძის წყლით სავაჭრო სახლის წინ ჩარაზმულიყო. მორთულ მოკაზმული ქალებიც უხვად ამკობდენ ქუჩის ტროტუარებს და უმეტეს სადღესასწაულო ელფერს სდებდენ მას.

მაგრამ უეცრივ ამოჭრა სრულიად მოულოდნელი ქვენა და ბაღის ხეებს სამაისო ფურცლები ფრიალ ფრიალით გაეყრევინა. მოარშიყეთა გუნდი უცბათ გაიფანტა და იმათ გაჰყვენ მოხეტიალენიც. მეორე დილას გატიტვლებულ ქალაქის ბაღს კარგა მოდიდო ბოქლომები ჰკოცნიდენ რკინის ბაგეებს..

გზა და გზა ლეჩხუმისაკენ პატარა, ახალ წიგნაკს წავაწყდი. იგი თავად-აზნაურთა წინამძღოლს იასონ გელოვანის ეკუთნის, და თავადურის სიფრთხილით სავსე მეგრელიის თავადის ლანძღვას შეიცავს. ერთ ადგილას თავადი გელოვანი „შიოს მარანზე" ლაპარაკობს, რომელშიაც მისთვის მეგრელიის თავადის ვექილს, ალშიბაიას შესვლა დაუბრალებია და სხვათა შორის ამბობს: „შიოს მარანი კი არა ჩემი საკუთარი მარანი რომ მქონდა ისიც ალარ მგონია ჩემი და დამენგრა მოწყალებითა „ამისათა იმისათა—ბოროტი სულისათა". ეს „ამისათა იმისათა" ჩვენ ვიცით სითკენაცაა მიმართული და ისიც ვიცით რისთვისაც გაექცა თავადი გელოვანი აზრის უფრო მკაფიოდ გამოთქმას, მაგრამ საუკეთესო იყო ჩვენის აზრით იგი იმ გზას შერჩენოდა რომლითაც მეგრელიის თავადს გამოეკიდა. როგორც ერთხელ გაზეთ „დროებაში" ისე თავის წიგნაკში თავადი გელოვანი გლეხებს ეტრფიალება და სხვათა შორის ამბობს: „ეს გლეხია რომლის ძეძუ ჩვენი გამზრდელია, რომლის ბეჭი ჩვენი აკვანი და მკლავ-მკერდი ჩვენი არსებობა და სულის დგმაა." აბა ვის არ მოეწონება გლეხის ასე გამოცნობა, მაგრამ ხომ მოეხსენეაა თავად გელოვანს, თუ რით უხდის ასეთ ღვაწლს გლეხობას ის თავად-აზნაურობა რომლის წინამძღოლათაც იგი ბრძანდება? განა თვით მეგრელის თავადი საგინებელი მისთვის უფრო არ არის რომ მან თავის მამული ამ წოდების უმსგავსო წევრთა სათარეშოდ გახადა და მათ საშვალება მისცა გლეხობას ტყავი აძროინ?!

მიუხედავად იმისა რომ თავადი გელოვანი გლეხობას ეტრფის და ჩვენი ფედერალისტებიც ხშირათ კაკანობენ „საშშობლო განსაცდელშიაო", ხმები დადის თავადი გელოვანები თვით ამ იასონ გელოვანის საშვალებითშთავის მამულში რომელსაც სახელათ „ლაფური" ეწოდება სხვებს ასახლებენო. ჩვენ იმისი უტყუარი საბუთები არა გვაქვს, თუ რამდენათ მართალია ყოველივე ეს, მაგრამ თუ დაუჯერებთ იმ გარემოებას, რომ თავადი გელოვგნი ამ ხანათ მეტად საქმიანობს ტფილისსა და ლეჩხუმს შორის და კიდევ იმასაც რომ ჩვენი თავად აზნაურობა მამულ-დედულის გისაყიდვის იშტანეა მოსული შეგვიძლია ვიფიქროთ რომ ხმები სიმართლესთამ ახლოა.

ხანდახან მამულ-დედული გლეხებსაც უსხლტებათ ხელიდან. ამას წინეთ გლეხი ბალიტონ ჩაჩხუნაშვილი, რომელსაც ჰრებალოში მამული ჰქონდა და რომელიც ხშირად იმის თანამდეომბას ასრულებდა, რომლის სახელიც არც ისე სასიამოვნო მომსმენია, დაიჭირეს და მანამ ალარ გაუშვეს ციხიდან, ვიდრე წმინდა ეკლესიისათვის ანაცანცლავი ფული არ გადაიხადა ხოლო ეს ისე ვერ გადაიხადა სანამ მამული არ გაყიდა. ამხანათ პატივცემული ბალიტონი ცარიელ ტარიელი დაბრძანდება ჰრებალოში, მაგრამ ურიადნიკი ამის ნებასაც არ აძლევს და ჩასციებია: „ბეზრაბოტნი" ხარ და მიბრძანდი. (თუ ხმებს დაუჯერებთ, ბალიტონს ციხეშიაც კარგი «პატივი სცეს» თურმე ტუსიღებმა.)

ალბათ კომეტას ბრალია!



ახალგაზრდა ქალი. სიკვდილი! ერთად ერთად ერთი ხსნა აი ეს არის!



ინტელიგენტი. მშვიდობით ჩემო იმედებო!

ბალიტონს საქმე ასე საჯაყათ წაუვიდა, მაგრამ კარგი არც ხვანჭკარის საზოგადოების გლეხებს მოსვლიათ. აქ თავადმა დიმიტრი ყიფიანმა დამყნილი ამერიკული ვაზი ყარა და ყარა თურმე მიწაში, ხოლო ვიღაცამ კი თხარა და თხარა, ხოლო რიცა თავადი მიბრძანდა: ვენახს აბია თუ არაო, გამოირკვა, რომ აღარც ვენახი იყო და აღარც არაფერი ება. ამ გარემოებას ჩაუფიქრდა ხვანჭკარის საზოგადოება და რა კი ასი წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდე ერთ გლეხს წიწილი მოპარა, მეორეს ხახვი და მესამეს მარწყვი, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თავადი ყიფიანის ვაზი ამ ბურდი გლეხების ჩამომავლობის მოპარული იქნებაო და თავის განაჩენით ექვსი კაცის სამუდამოთ გადასახლება მოითხოვა. ისინი დაატყვევეს. რამოდენიმე ხნის შემდეგ საზოგადოება ისევ დაუიქრდა და დატუსაღებული ექვსი კაცის ისევ განთავისუფლება მოითხოვა.

ამ ხვანჭკარელ გლეხებზე უკეთ არც ბრეგალოს სამკითხველოს საქმე წასულა. ტფილისელი მუშები, რომლებმაც ამ საქმის ინიციატორობა იკისრეს, ბრეგალოს მედუქნეებს მიჩერებიან, მედუქნეები კიდევ ტფილისელ მუშებს და ასე «შენც წახდი მეც წამახდინეო» რომ იტყვიან ამაზე არის გამოპრილი. აქ ხანათ მღვდელი გიორგი სოხაძე აპირებს საქმის გამოკეთებას და ღმერთმა ხელი მოუმართოს.

სამკითხველოს ბედი საფოსტო გაყოფილების გახსნასაც გაეადვა, ისიც თავდება, თავდება და არ გათავდა კი. ეხლა შენობა მიიღეს, მაგრამ აპარატი ვეღარ წაიღეს და კიდევ გასათავებელია.

დღესასწაულებმა რაჭა-ლეჩხუმიაკენ მშვიდობით ჩაიარა და როგორც გამოანგარიშებიდან გამოირკვა ორი თავის მეტი არ გატეხილა. მიჭეხი ყიფიანის ღვინის სიცოტავეს მიეწერება.

რამდენათაც ხმალ-ხანჯლის სიუხვე დიდია, იმდენათ ძვირია დი თითქმის არც კი მოიპოება გაზეთი. ბევრი ამ გარემობას ფოშტის უქონელობით ხსნის, მაგრამ უფრო გულგრილობის და დაუდევრობის საქმეა. თუ 1905, 1906, 1907, და თითქმის 1908 წელშიაც შესაძლო იყო ჟურნალ გაზეთების ყოველ დღე მიღება ქუთაისიდან მიმავალი დილიჟანსების საშვალებით, დღეს რატომ შეიქნა ეს შეუძლებელი?!

რამდენათაც აზნაური ირაკლი ცხვედიანის სალამი ძვირია, იმდენათ თავადი ირაკლი გელოვანი იაფად ყიდის მას. მისი ჩვენდამი დავალება ისე დიდია, რომ არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვით არ მოვიკითხოთ იგი:

თქვენს ბრწყინვალებას ვახლავარ, მიიღეთ ჩემი სალამი,
ვეადნიერდები ამ ხანათ თქვენთან დავცადო ქალამი,
რომ ვერა გნახეთ მიმყოლება თვალები ცრემლით ნალამი,
სად დაიკარგა «რეჩები» და შენი დროშა—ალამი?!

ყველას მე თურმე მაბრალი ჩვეულებრივი ბოროტა,
გამოკიდებას მეპირებ მაგ დამტვრეული ჯოროტა,
შენ ღელე-ღელე დაჩოჩავ, მე გიახლები შოროტა,
რას მემართლები, მიბრძანე მაგ შენი ენა სწოროთა!

ოთიას ეომე პირველად გაუხდი მეგობარია,
ყანა მიეცი წაიღო, მოჭიდა ხელი დარია,
ყველაზე მეტი შენ რეკე ლამის გასტეხე ხარია,
სულ მიწერია რაც იყავ და შენი ნასაქმარია!

თუ არ გაჩერდი ინანებ ნუ წამიწყდება სულია,
ჩემი ნათლია ბრძანდები, კიდევ შემტკივა გულია,
ვის მოსწრებია სამ დღეში სამოცნაირა რჯულია,
ვერ გიპატივებს ყოველთვის ეგ თითო გუდა ტყულია!..

ნაცნობი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენი პატივცემული გაზეთის, უმახლოესელს ნომერში და მით საშვალება მოგვცეთ, პასუხი გავცეთ ავტორს, კერძო დეპეშისას ბათუმიდან, რომელიც მოთავსებულია ,,მათრახ-სალამურის'' მეჩვიდმეტე ნომერში, ,,გარეშე''-ს ფსევდონიმით.

სამწუხაროთ დღეს ისეთ ხანაში ვიმყოფებით, როცა სიცრუეს მეტი ფასავალი აქვს, ვიდრე პატიოსნებას. და აი, ამ გარემოებით სარგებლობს ბ. ,,გარეშე'' და შეუწყნარებელ ცილს გვწამებს, თავისი უკბილო ოხუნჯობით; სხვათა შორის ის სწერს, ვითომ ჩვენ ერთი მეორეს ვეჯიბრებოდეთ ჩვენი ხელქვეითი, დაბალი მუშა მოსამსახურის დამცირებაში, რაც სასტიკი ცილის წაყენებაა და მეტი არაფერი; რომ საზოგადოება დარწმუნდეს სიმართლეში, საჭიროა ფარდა აეხადოს ჩვენს მოქმედებასაც და ბ. ,,გარეშეს''-ს ბორებსაც; ამისათვის ვიწვევთ მას სამედიატორო სამართალში, დეე, პირუთვნელმა სასამართლომ გამოარკვიოს ჩვენი და ბ. „გარეშე''-ს პიროვნება და ბოროტება; მედიატორეთა განაჩენი უნდა გამოცხადდეს ყველა ქართულ გაზეთებში, თუმც ბ. ,,გარეშე'' არ ისურვებს ამ წინადადებაზე დათანხმებას, მაშინ უფლებას ვიტოვებთ, მოვიქცეთ ისე, როგორც ამას საჭიროთ დავინახავთ.

პატივისცემით: (**ივლიანე ნინიძე.**
(**იოსებ მარგველაშვილი.**

—

ბ-ნო რედაქტორო!

თვენ პატივცემულ ჟურნალ ,,მათრახ-სალამურის'' მე-19-ტე №-ში მოთავსებულია ,,დეპეშები'' ნიგოითიდან, სადაც ავტორი ამბობს... ,,ამას მოყვა სმოტრიტელ ძიძიგურის და ვეკილ კონსტანტინეს შორის დიდი უთანხმოება, ვეკილმა კონსტანტინემ ა ღ მ ო ა ჩ ი ნ ა 50 მან. ყალბი ვეკსილიო'' მართლაც ჩვენს შორის უთანხმოება მოხდა, ვინაიდან ვეკილ კონსტანტინეს შევამჩნიე 50 მან. გამორჩენა. ამაზე ხალხმა აირჩია გამომძიებელი კომისია, რომელმაც ნათელ-ყო ჩემ-მიერ წამოყენებული ბრალდება და კიდევაც აღმოაჩინა ვეკილ კონსტანტინეს ხელში 50 მანეთიანი ყალბი ვეკსილი და ბევრიც სხვა... ხალხმა თავის დროზე შესაფერი მსჯავრიც დასდო მას... ამნაირათ, ნიგოითის საზოგადოებამ კარგად იცის თუ რა ,,აღმოაჩინა'' კონსტანტინემ და რა სახითაც აქვს ნახმარი ავტორის სიტყვები ,,კონსტანტიმემ აღმოაჩინა''... მე კი ვფიქრობ რომ ამ ირონიას გარეშე მკითხველი ისე ვერ გაიგებს და გთხოვთ მას შესაფერი განმარტება გაუკეთოდ.*)

ნიგოითის სკოლის ზედამხედველი ნ. ძიძიგური.

---

*) ვარწმუნებთ ბ-ნ ძიძიგურს, რომ ჩვენც სწორეთ იმ მნიშვნელობით გვქონდა ნახმარი ის ,,აღმოაჩენა'' როგორაც თვითონ განგვიმარტებს და ვფიქრობთ: ვისთვისაც ეს საჭირო იყო, ყველანი ისე გაიგებდენ, როგორც მას გაუგია და ჩვენ გვესმოდა.

,,მათრახ-სალამურის'' რედაქცია.

მათრახის ფოსტა.

აცანა. მიქელაძეს. რა ჩვენი საქმეა თქვენი მამასახლისი სტეშს ხალხს თუ ეფერება, ურიადნიკობას ედის თუ სტრაჟნიკობას. წერილი არ დაიბეჭდება.

ქუთაისი. ჩიბუხს. თქვენი ვრცელი წერილი ,,მაინც არ არის ის, რაც ჩვენ გვჭირია'', სწორეთ რომ არ არის ის, რაც ჩვენ გვჭირია.

სადმე. ი. ფოფეთელს. თქვენ იწერებით:

„თუმც მანდალინა ხელთა მაქვს,
მაგრამ ვოცნებობ მე მაზე,
როგორ გავკაფო ესა ტყე
და გავიდე ახალ გზაზე.
მსურს ვაწკრიალო სიმები,
მაგრამ მიდუნს თითნი ხელის,
მიზეზი მარტო ესაა,
ლუკმა ვხდები მე აქ მგელის".

უმორჩილესად კოხოვთ ჩვენი რედაქციის სახელით გულითადი მადლობა მოახსენოთ იმ მგელს.

ქუთაისი. რაქველ შურდულს. რაც გენებოთ ისა სწერეთ, მხოლოდ ჩვენ კი თავი დაგვანებეთ. შარადები გამოუსადეგარია ფორმითაც და შინაარსითაც.

თფილისი. დათიკოს. თქვენი საუცხოვო **ლექსი:** ,,ერთ ვინმეს'' სწორეთ უმწვერვალესია ზოეზიისა.

„ოხ, ნეტავ როდის იქნება
რომ გავხდებოდე მე ღირსი,
არ დაიშუროთ ჩემთან გაცნობა
დავსტკბები თქვენი გაცნობით ვიცი".

მეორე კუშლეტში რიფმისათვის უთუოდ ,,კვიცი'' უნდა კეხმარათ, რადგან ლექსის შინაარსს და ადგათ თქვენს ხასიათსაც ეს უფრო შეესაბამებოდა.

„თქვენ მეტყვით რისთვის დაგვიგრეგია
ჩემი გაცნობა აუცილებლად?
ვბედავ, და ვამბობ თქვენთ შემკულობა
მოქმედობს ჩემზე ახირებულად".

ჩვენ დარწმუნებული არ ვიყავით, რომ ,,თქვენთ შემკულობა" ასე ახირებულად მოქმედობდა თქვენზე. ნეტავი გვაცოდინა: მათრახის კუდი როგორ იმოქმედებს?

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

კ. პ. კანდელაკისა

კოლოვერაცია

თეორია, ისტორია და პრაქტიკა

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлисъ, Типографія Шрома В. К. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, დაეთმობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს შვიდი შაურის მარკები და ამ ფაშსი მიიღებს თავის ადრესზე.

წელიწადი 1910 წლისათვის მეოთხე.

მი

ალბათ კომეტას ბრალია!



ბიუროკრატი. სიკვდილით თუ აღვადგენ ჩემს შებღალულ სახელს.



—მშვიდობით საყვარელო მშობლებო! გთხოვთ მაპატიოთ ჩემი დანაშაული.